




1964 03 06 00

המוסד לתעשיית הילדים

נ7

გ ზ ე ს უ გ ზ ი რ ა

პედაგოგიკური მანუალის ავტორი: ნ. მანუაშვილი



ყოველთვის, როცა არ წვიმს, ზვენი სკოლის კუბხეში ძია შაქრო ღვას მზესუმზირას ჰყლის. მზესუმზირა პატარა ტომარაში აქვს; იმ ტომარაში ორი ჰუბაკ აქვს, დიდი და პატარა, — რომლითაც გინდა, იმით იყიდვო...

ძია შაქროს მარტო ზვენი სკოლის დირექტორის ვწინია, — დანიანავს თუ არა მაშინვე ყველგს ვფარება. გავას ვკითხო: რატომ ვწინია-მეთქი. არ ვიცო; მართალი ვითხარაო, არც მე ვიცი, რატომ ვწინია.

გავა ჩემი მზესუმზირა, ერთ კლასში ესწავლებო. შარშან რგზოს მერხზე იჯდა, წელს ჩემს მერხზე ზის.

მზესუმზირას ყველა ძია შაქროსაგან ყიდულობს; მე კი არ ვყიდულობ, — ბებო ჩამომიტანს სოღემ სოღლიდან.

ერთხელ ბებოს დაავიანდა ჩაწოსვლა და მზესუმზირა მეც ძია შაქროსაგან ვიყიდე.

ოჲაღ გავყავი, — ნახევარი ერთ ჯიბეში ჩავიყარე, ნახევარი მეორეში. — ასე შედედი საკლასო ოთახში. სულ რომ ერთად ჩამყარა, ჯიბე გამომებრებოდა. შემამჩნევდა ვინმე და მასწავლებელს ვტყუოდა.

შეხველის ზარი დაირეკა და გავამაქ შეითხა:

- მზესუმზირა იყიდლე?
- არ მიყიდა.
- იყიდლე!
- არა!
- კარგი.
- კარგი და კარგი...

მასწავლებელი შემოვიდა თუ არა, გავა გაეკიბა და მოახსენა:

— პატრიცელულო მასწავლებელი, ხერხეულიძემ მზესუმზირა იყიდა.

— ხერხეულიძემ, გამოდი! რა უნდა მგქნა, გავედი.
— ამოაბრუნე ჯიბეები!
— ჯიბეები ამოვაბრუნე და მზესუმზირა მაგიღაზე დავყარე. მივიღმა კლასს გაიციანა.

— ხერხეულიძემ, უკანასკნელად გაფრთხილებ! — თითო დამშინა მასწავლებელმა, — ახლა დაჯექი.

— თაქაქინდული გამოტრიალდი.
— აქი არ გქონდა! — მითხრა გავამ, როცა მერხზე დავჯექი.

არაფერი ვუპასუხე. ჩანთა გაეხსენი და საშინაო დეველების რვეული ამოვიღე... დსვენებაზე ვკითხე გავას:

- რატომ უთხარი?
- არ გყვილა და არ ვტყუოდი.
- აქ კი არ უნდა მგქნა, შინ უნდა წამეღო.
- აქ რომ გგქნა, მერე? — ჩამაკვილა გავა.

ახლა კი გავბარზდი:
— მერე და მერე მამას თოფი აქვს სახლში, მაგრამ სახლში კი არ ისყარის,

9368



იქნებ მოვიდეს ვინმე და უთხრას, უნდა წვილო, ხომ შეიძლება სახლში გაისროლო, მერე?

გავას არაფერი უთქვამს, საშინაო დეველების რვეული ჩანთაში ჩაღო და დერეფანში გავიდა...

ერთი კვირის შემდეგ მორიგე ვიყავი, სკოლაში აღრე მივიდი და სასკოლო ოთახის ფანჯრიდან დავინახე. — გავამ ძია შაქროსაგან მზესუმზირა იყიდა. შეხველის ზარი დაირეკა თუ არა, ვკითხე!

- მზესუმზირა იყიდლე?
- არა.
- იყიდლე!
- კოტა ხანს გაწუმდა და მერე თქვა: — მო, ვიყიდე.
- მასწავლებელმა სიის ამოკითხვა დაიწყო და მეც აუღებე: — პატრიცელულო მასწავლებელი, — თან გავას მიხვდა, ადგომას აპირებდა, — არავინ არ აკლია.
- კარგია, — ჩაიღამაპარა, მასწავლებელმა.

პირველ გაცეთილზე მიმატება-გამოკლება მ ვყარჯიშობდი. გავას რვეულ-





ში ჩაიხედე: შეცდომით გამოყვანა მაგალითი. მე ფეხზე ავდექი:
— პატივცემულო მასწავლებელო, გაგამ... გაგამ ექვსს ხუთი გამოაკლო და სამი მიიღო.
მთელმა კლასმა გაიცინა.

მასწავლებელი გაჯავრდა:
— რა ამბავია!—მერე წყნარად თქვა,
—გაგამ კარგად იცის მიმატება-გამოკლება, ეს ალბათ შემთხვევით მოხდა.
ვიღრე შესვენების ხარი დაირეკებოდა, გაგამ საშრობი მომაწოდა. იმ საშრობზე ეწერა: „ღერეფანში არ გავხიდე, რალაც უნდა გითხრა“.
მეც იმ საშრობზე დავწერე:
„ღერეფანში უნდა გავიდე, გივისთან საქმე მაქვს...“
ხატვის გაკეთილზე მასწავლებელმა დავალება მოგვცა, ვაშლი დახატეთო. გაგამ მიჩურჩულა:
— თუ გინდა, ჩემი ფანქრებით დახატე. მეც ვუჩურჩულე:
— მე ჩემი ფანქრებით ვხატავ.
მერე ისევ მიჩურჩულა:
— თუ გინდა, სახაზე რვეულს გაჩუქებ.
მეც ვუჩურჩულე:
— თუ გინდა, მე გაჩუქებ.
მერე გადავხედე.—გაგა მზესუმზირას ხატავდა.
უცებ წამოვხტი:
— პატივცემულო მასწავლებელო, გაგამ მზესუმზირა...—გაგა უკვე ფეხზე იდგა,—გაგამ მზესუმზირა დახატა.
მასწავლებელი შეწუხდა:
— დღეს რა დაემართა?! ბიჭო, ვაშლს მზესუმზირისაგან ვერ არჩევ? დაჯექი და ვაშლი დახატე!..
შინ რომ ვბრუნდებოდით გაგამ მითხრა:
— მე მეგონა, ეტყოდო.
— მე კი არ ვუთხარი...
ახლაც, როცა არ წვიმს, ჩვენი სკოლის კუთხეში ძია შაქრო დგას და მზესუმზირას ჰყიდის. ჩვენი დირექტორის ისევ ეწინია... ჩემმა ბებომაც კვლავ დააგვიანა სოფლიდან ჩამოსვლა. მე და გაგაც მზესუმზირას ისევ ძია შაქროსაგან ვყიდულობთ, ოღონდ მაშინ კი არა, როცა სკოლაში მივდივართ, როცა სკოლიდან შინ ვბრუნდებით.

დიდი სიყვარული

ზარიონ ხალვაში

მე ვარ აჭარელი,
საქართველოს შვილი,
მიუვარს მწვანე ველი
ზღვისპირს გადაშლილი.

ეს მთაც ჩემი არის
და ზღვაც ჩემი არის,
მითხარით, ვინ არის
ჩემსავით მდიდარი?

კოროხთან მაქვს ოდა,
მიუვარს ჩემი მტკვარიც.
მამულს ედგა მცველად
ჩემი წინაპარი.

იმან დამიტოვა
დიდი სიყვარული
ჩვენი მოშრიალე
ლამაზი მამულის.

მე ვარ აჭარელი,
საქართველოს შვილი,
მიუვარს მწვანე ველი,
ზღვისპირს გადაშლილი.




უბოვარი

თინა კვიციანი

ნახატები ზ. კახანაძისა

ავტოს რომ მიაჭროლებ,
ზაზა, ასე ძალიან,
მოძრაობის წესები
აღბათ არ გისწავლია;
შარბეზაზე შექუთარი
წითელ ფერს რომ აჩვენებს,
მაშინ თავის მანქანას
ივლეა წამსვე აჩერებს.
როცა შევანე ანთია,
შეგიძლია გაქანდე.
აბა, რა მოფერი ხარ,
ეს არ იცი, აქამდე!





სოსო იორაგაძევილი

ღაღადკაცი და სიყვარული

ზაზა და მანანა. ზაფხულში კოჯორში⁵ ისვენებდნენ. მათი სახლი ტყისპირას იდგა. ზაზა მთელი დღე შურდულით დასდევდა ჩიტებს. პატარა მანანას კი თოჯინებისათვის ვერც იქ ეღალატა, ერთი მუხის ძირში ოთხი თოჯინა ჩაემწყრივებინა და ათას რამეს ელაპარაკებოდა. ხან სტუმრობანას თამაშობდა და ხანაც სკოლობანას. დედას დასაძინებლად ძლივს გამოჰყავდა ბავშვები ტყიდან.

ერთხელ, კვირა დღით ბავშვების საყვარელი ძია რეზოც ამოჰყვა მამას კოჯორში. განსაკუთრებით რეზო და მანანა იყვნენ დამეგობრებულნი. ძია რეზომ ოთხი თოჯინა რომ დაინახა, მანანას გამოცდა მოინდომა და უთხრა:

— მანანა, გენაცვალე, შენ ოთხი დედოფალა გყოლია თურმე, მე კი სულ არა ჰყავს. ერთი მომეცი, რა?

მანანას ეტყობოდა, თოჯინა არ ემეტებოდა, მაგრამ ძია რეზოს ველარ აწყენინა და დათანხმდა.

— აი, ეს წაიყვანე — უთხრა და ყველაზე ავთვალ თოჯინას დაადო ხელი.

— უი, როგორ მიხარია! რა ჰქვია? — ჰკითხა ძია რეზომ.

— ლალი.

— კეთილი. ჯერჯერობით შენს თოჯინებთან იყოს ლალი და საღამოზე თბილისში რომ წაველ, წავიყვან. კარგი?

— კარგი! — უგულოდ უპასუხა მანანამ. საღამოს, როცა თბილისში წასასვლელად მოემზადნენ ძია რეზო და მანანას მამა, მანანა არსად ჩანდა.

— ჰო, მართლა, მანანა სად არის? ჩემი თოჯინა მომიყვანოს. — თქვა განგებ ძია რეზომ.

ამ დროს გამოჩნდა მანანა, ხელში ის ავთვალი თოჯინა ეჭირა საბანში შეხვეული, რომელიც ძია რეზოსათვის უნდა გაეტანებინა.

მანანას საბანში შეფუთილი თოჯინისათვის ილღოში პატარა ჩხირი გაერჭო, ძია რეზოსთან მიიყვანა და ნაღვლიანი სახით უთხრა:

— ძია რეზო, ლალის სიცხე აქვს და რა მეშველება, ასე როგორ გაგატანო?

— ოჰ, რა მოუვიდა? — განგებ გაიკვირა ძია რეზომ.

— რა ვიცი, ალბათ გაცივდა, ადამიანისა არ ეყურება.

— აბა, როგორ მოვიქცეთ?

— არ ვიცი, სიცხიანის წაყვანა ხომ არ შეიძლება...


— მაშ, იცი, რასა გთხოვ, მანანა? მოდი ისევ აქ დარჩეს ლალი და როცა კარგად გახდება, მაშინ წავიყვან.

— დარჩეს, ძია რეზო, დარჩეს! როცა კარგად გახდება, მე თვითონ ჩამოგიყვან თბილისში. — უთხრა სიხარულით სახეგაბრწყინებულმა მანანამ და შინისაკენ მოჰკურცხლა.


ნახატი მ. ჩოჩინიძისა

რად ღაჰკილა თავი ცისთვალამ?

ნიკო კახსხვილი




გაზაფხულმა კარზე დააკუნა. ზოგჯერ თბილი ნიავი დაუბერავდა და შეარხვედა ხის ტოტებს, ტყის პირზეც დაჩნდა ლოლი-ჭირილო, ზეიბისა და ბურჭების ირგვლივ გაშავდა, ყველაზე ადრე თოვლი იქ დადნა.



ერთ დილას, როდესაც ტყისბირებს მზემ სხივები დააფრქვია, მიწის პაწაწინა ნაწილი შეირხა, შეტოკდა. მზემ მალლა წამოიწია და ერთი სხივი შეტოკებულ ადგილს მიუმარჯვა. მიწა კვლავ შეირხა, თითქოს გააკანკალა და ორთქლის პაწაწინა ბოლქვი შაერში ავარდა.



მზე მალლა იწვევდა და ბურჭის ძირას მიწის ნაჭერი უფრო ტოკავდა. კი არ ტოკავდა, უკვე ირხეოდა, ირხეოდა და ბოლოს გადაიწია, და ამ ადგილას თავი ამოყო ორმა ხახხასა, მაგრამ ჯერ ფერნაკულუმბა ფოთოლმა, თითქოს არემარეს გაუღიმაო, მზის ნათელმა დაუარა... ფოთლები ნელნელა წამოიწინენ, გაგრძელდნენ, ფერი მიიეცათ, გამწვანდნენ; ორი ფოთლის შუიდან კვირტი წამოყვდულავდა. პირველ დღეს მეთი ველარა გააკეთა რა. მარტის საღამოს სუსხმა შეკუმშა ისევ.

დილა ღრუბლიანი, მაგრამ



თბილი გათენდა. მწვანე ფოთლები და ერთად-ერთი კვირტიანი ღერო მაინც ზევით იწვედნენ. შუადღისათვის ღრუბელიც გადაიყარა, ცხრათვალა მზემ ისევ გამოაყვდა და პირველივე სხავეები ბურჭის ძირას გაღვივებულ ცისთვალას სტყორცნა; ცისთვალამ გაიხარა და თავისი კვირტი ცისფრად გადაშალა, მზეს შეანათა, შეგზარა; ენა რომ ჰქონოდა, მზეს კებას ეტყუოდა, მოუსაყვარლებდა, მოუალერხებდა. უხაროდა ცისთვალას, უხაროდა, რომ თვალს გაიხილა, მზე და ქვეყანა დაიხანა.

მაგრამ აი, წაიხიხინა აქამდე საღალც მიმალულმა სუსხიანმა




მარტის ქარმა, წაიხიხინა და მზეს ცივი ღრუბელი გადააფარა, უცბად აცივდა, თითქოს ცამაც ტირილი დაიწყოო; ცივი წვეთები წამოვიდნენ, ერთი წვეთი ცისთვალას გახეილ თვალში მოხვდა, გული მოუკვდა,

გაკანკალა და შეშინებულმა თავი დახარა, დახარა და მას შემდეგ თავი მალლა აღარ აუღია.

ცისთვალა გაიშლია თუ არა, თავს ჩაჰკილებს თურმე, ეწინა ავი მარტისა, ვაითუ. მისმა ცივმა წვეთებმა თვალი დამიბრმავოსო.




ჩვენს რედაქციას სტუმრად ეწვივნენ მოქმედი აზერბაიჯანელი კომბი და მწიგნობარი.
ამ ნომერში ვამბლავთ მათ ნაწარმოებებს, რომლებიც აზერბაიჯანულიდან თარგმნა ლეილა ეჩაძე




ნაბი ხაზრი

დილა

— მზე რა იქნა, მამა?
რატომ აღარ ბრწყინაფს?
— წავიდა, რომ შენთვის
გაათენოს დილა!



ზ ღ ვ ა
ზღვაო, ზღვაო, ძლეულგარე
ტალღებს რად მოაგორებს,
მე ზვირთები მავონებს
უზარმაზარ მოა-გორებს.
დაუღლედი გული გაქვს,
გბრმვი ქარს თუ ქარიშხალს,
მერე უსებ სიმძვიდით
მკებები ცარიერაქს.
მერე სულ სხვაგვარი ხარ,
ცისფერი ხარ ნამდვილი
და ნაზირზე კენჭების
არჩევან ადვილი.
ზღვაო, როცა მშვიდი ხარ,
ველარ ვძლეებით უურებით
და ნაზირთან მშველა ვართ.
მზეში გარუჯულები.



ნახატები 3. მელნიჩვილისა

სეზონი



ბებიას სამი შვილიშვილი ჰყავდა. ერთხელ ბებია მ თევზზე სამი მსხალი დააწყო და შვილიშვილებს უთხრა:

— პირი ჩაიგემრიელეთ!

პირველად უფროსმა დამ წაიღო ხელი თევზისაკენ და ყველაზე დიდი მსხალი აიღო. მერე შუათანა დამ აიღო ცოტა უფრო პატარა მსხალი; სულ ყველაზე პატარა კი უმცროს დას შეხვდა და დებს საყვდურით გადახვდა.

— ადამიანი ხარბი არ უნდა იყოს! — თქვა ბებომ. — სიხარბე ძალიან ცუდი თვისებაა, შეგამჩნიეთ, რომ ყველას დიდი მსხალი გინდოდათ აველოთ. ასე არ ვარგა.

გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს და მსხლები ისევ თევზზე დააწყეს.

— აიღეთ, მიირთვიეთ — უთხრა ბავშვებს ბებია.

ახლა უფროსმა დამ სულ პატარა მსხალი აიღო; შუათანამ — საშუალო; ხოლო ყველაზე დიდი მსხალი უმცროს დას შეხვდა. გოგონას შერცხვა მსხლის აღება. ხან მსხალს გადახედავდა, ხან ბებუბიას. ბებიას სახეზე ღიმილი შენიშნა და გაეხარდა.

— ბებიეო, ნახევარი — მე, ნახევარი — შენ, — უთხრა და მსხალი ბებოს გაუწოდა.

ბებომ მსხალი შუაზე გაყო. ერთი ნახევარი უმცროს დას მისცა, მეორე ნახევარი — კი უფროსს. ყველა კმაყოფილი დარჩა.

ქარი


მეთარეხავით შერბე
შენ ტელეგრაფის ლაზებს,
არ გიყვანს მშვიდი ძილი,
ზაფხულზე დღე და ღამე.
ჩამოუქროლებ ქალაქს,
ხან დილით, ხან კი — ტვიან,
ჩვენს სათაფრანო ბაქებს*
შენი სახელი ჰქვია.

* სიტყვა "ბაქო" სპარსული სიტყვაა და "ქართო" კალაქს ნიშნავს.

ხანიანა პლიზილი

ბატი

ცურავა კარგად ვისწავლე,
ვინ მახლობებს ნეტავი?
მაგრამ რთცა დაჯიჯარ,
არ ვარ შესახედავი.





ქვიშვასი სისყვა

ამამდ აქაბარი

ნახატები ზ. ჯაანაძის

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოხუცი სალმანი. ამ კაცს ორი სახედრის მეთი ქვეყანაზე არაფერი გააჩნდა. სალმანი დილა-ღამიანად დგებოდა ხოლმე და თავის სახედრებს ქალაქში მიერეკებოდა. ერთი ქალაქიდან მეორეში, ერთი სოფლიდან მეორე სოფელში ტვირთი მიჰქონდა და ამით შოულობდა ლუკმა პურს და არჩენდა ოჯახს.

გადიოდა დრო. ერთ დღეს სალმანის სახედრებმა თქვენი ჳირი წაიღო. ამ ამბავმა მოხუცი სალმანი ძალიან დააღონა. აღარ იცოდა, რა ექნა. დილიდან საღამომდე იჯდა და დიქრობდა.

ცოლმა უყურა, უყურა სალმანის გაქირვებას და უთხრა:

— კაცო, დარდით რას იხრჩობი. შავი დღისათვის ორიოდ გროში შემომინახავს. აიღე ეს ფული, წადი ბაზარში და სახედარი იყიდე.

ამ სიტყვებთან ერთად ცოლმა სკივრი გააღო, იქიდან ბოხჩა ამოიღო, ბოხჩიდან ასი მანეთი ფული ამოაძვრინა და ქმარს მისცა.

სალმანი ბაზარში წავიდა. მთელი ბაზარი შემოიარა, მაგრამ გასაყიდი სახედარი ვერსად ნახა. ბოლოს ერთ კაცს შეხვდა.

— ძალიან სასარგებლო სიტყვას ვყვილი, — უთხრა კაცმა.

— რა სიტყვას?

— ფული მომეცი და ყურში გეტყვი.

— რამდენად ჰყიდი?

— ას მანეთად.

სალმანმა ასი მანეთი გადაიხადა და კაცმა ყურში ჩასჩურჩულა:

— „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!“

სალმანი შინ რომ მივიდა, ცოლმა ჰკითხა:

— სახედარი რა უყავი, კაცო?

— ფული დახვარჯე, მაგრამ ერთი ძვირფასი სიტყვა ვიყიდე: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.“ — ზომ კარგი მიქნია?

ცოლს ძალიან ეყურინა, მაგრამ რაღას იზამდა.

— ას მანეთს სიტყვაში მისცემს კაცი?! — უთხრა გაჯავრებით.

ფადიშაჰის ყურამდე მიადწია ამ ამბავმა, —



ერთ კაცს სიტყვაში ასი მანეთი მიუციაო. მისი ბრძანებით სალ-
მანი მოძებნეს და სასახლეში მიგვვარეს ფადიშაჰს.

— კაცო, ეგ რანაირი ძვირფასი სიტყვაა, რომ ასი მანეთი
მიიცვია?—ჰკითხა ფადიშაჰმა.

— სიტყვა ჩემთვის ვიყიდე, მოწყალეო ხელმწიფეფე, და სხვას
ვერაფის ვეძევი.

ფადიშაჰმა ბრძანა:—მიეცით ამ კაცს სამასი მანეთი, ოღონდ
ის ძვირფასი სიტყვა გვიოთხრასო.

სალმანმა სამასი მანეთი ჯრიბეში ჩაიდო, ფადიშაჰთან მივიდა
და ყურში ჩასჩურჩულა:


— „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.
სიტყვა ფადიშაჰს ძალიან მოეწონა და ამ კაცს უთხრა:

— ყოველ დღე მოდი და ეს სიტყვა ყურ-
ში შითხარი ხოლმე. ყოველ მოსვლაზე
სამას მანეთს მოგცემ.

ფადიშაჰის მცველმა ფულის მიცემის ამ-
ბავი რომ გაიგო, შურით აივსო, იფიქრა,
იფიქრა და სალმანს უთხრა:

— ამ ქვეყნად სიკეთის მეტი არაფერი
დარჩება. ამიტომ ყველასათვის სიკეთე მინ-
და. ფადიშაჰს ნივრის სუნი უყვარს. თუ
ნიორს შეკამ და ისე მიწვად, სამასის ნაც-
ვლად ექვსას მანეთს მოგცემს.

შეორე დღეს სალმანმა ბევრი ნიორი კუ-
მა და ფადიშაჰს ისე ეახლა. ფადიშაჰს ნივ-
რის სუნზე სახე დაემანკა. თურმე ნივრის
სუნს ვერ იტანდა, და სასახლეში ვინც ნი-
ორს შეკამდა, მაშინვე თავს ჰკვეთდა.



„უკვე თვია, რაც ამ კაცს ყოველ დღე სამის-სამის მანეთს ვაძლევ. ახლა რომ თავი მოგვტრა, რას იტყვის ხალხიო“,—გაიფიქრა ფადიშაჰმა და სხვა რამე გადაწყვიტა. ბრძანა დღეს, ექვსასი მანეთი მიეცითო და მერე სალმანს ჰკითხა:

— კაცო, პურს სად ყიდულობ?

— დღეგრძელი იყოს ფადიშაჰი, ბაზარში ვყიდულობ.

— რატომ ყიდულობ ბაზარში? ქაღალდს მოგცემ, ჩემს თონეში მიიტან და ყოველ დღე უფასოდ წაიღებ პურს.

ფადიშაჰმა ვეზირს მოუხმო, თვალით რაღაც ანიშნა და უბრძანა, სალმანს ქაღალდი დაუწერეთ.

სალმანი სიხარულით მიაფრიალებდა ქაღალდს, და ფადიშაჰის მცველს გვერდით ჩაუარა.

— როგორ შეგხვდა ფადიშაჰი!—ჰკითხა მცველმა.

— დიდი მადლობელი ვარ შენი,—უპასუხა სალმანმა, როგორც მირჩიე, ისე მოვიქციე. ფადიშაჰმა მართლაც ექვსასი მანეთი მომცა.

— ეგ რაღა ქაღალდი გიჭირავს?

— ეს ქაღალდი ფადიშაჰმა თონეში გამიბანა. პურს წამოვიღებ ხოლმე.

მცველი მიხვდა, რომ მისმა ხერხმა ვერ გაჭრა და უფრო გაღიზიანდა.

— ახლა მდღარი კაცი ხარ,—დაუწყო

ხვეწნა სალმანს,—ეს ქაღალდი მომეცი. თონეში მე მივალ ხოლმე და პურს წამოვიღებ.

სალმანს მცველი შეეცოდა და ქაღალდი მისცა.

მეორე დღეს სალმანი სასახლეში რომ შევიდა, მცველი აღარსად იყო, მაგრამ არაფრად ჩაუგდია, პირდაპირ ფადიშაჰთან მივიდა. ფადიშაჰმა სალმანი რომ დაინახა, თვალს არ დაუჯერა და ჰკითხა:

— გუშინ რომ ქაღალდი მოგეცი, თონეში არ წაიღე?

— დღეგრძელი იყოს ფადიშაჰი, არა.

— რატომ, კაცო?

— ის ქაღალდი შენს მცველს მივეცი. დიდი სიკეთე მიუო და სამაგიერო გადავუხადე. მირჩია, ნიორი ჰამე, ფადიშაჰს ნივრის ხუნი უყვარსო. თუ ნიორს შეჭამ და ისე მიხვალ, სამასი მანეთის მაგივრად ექვსასს მოგცემსო.

ფადიშაჰს გაეცინა. ჩემი მცველი კარგად ვერ გამიცნია. დიდი შურიანი კაცი ყოფილა. ქაღალდში მეწერა,—როგორც კი თონეში მიხვიდოდი, ცოცხლად ჩაგაგდებდნენ ცეცხლში. ჰოდა, შენი სიტყვა ჰკუაში დამიჯდა: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

ფადიშაჰმა სალმანი დაასაჩუქრა და შინ გაისტუმრა.



ზვარში

ნოღარ შაშაშაძე

ცეროდენს ჯიბომ,
ჯიბომ ჯირკუტანამ,
დადლილ მამას ზვარში
წეალი მიუტანა.
მერე ჩქარა-ჩქარა
წამოკურიფა ჩალა,
განსარს ზაქი,
ხანტი, მახანჩალა.
ერთი ნახეთ, ვინ სჯობს,
ჯირკუტანს ჯიბოს!



ობობა

მ. მგულაძე

ობობა ქსელს აბამს,
სუტს მოქსოვოს კაბა.
დაჭკურ ფისომ თათი
გაშწვეტიტა ნართი!




ყურში

ოთარ შალაშაიძე

ეურშა მისდევს ავტოს,
არვინ იცის, რატომ.
უცბად გაქრა ავტო,
ეურშა დარჩა მარტო.
გამობრუნდა უკან,
ტოლ-მეგობრებს ნატრობს,
რომ სუეველას უთხრას,—
შეაძინა ავტო!



ნახატები ზ. შორჩხიძისა



გაჭიფებული

მამულა მისწავლილი
დაორვეტილიან ასელები
უდგათ ვაი-ვაგვანბი:
დაჭყეტილი, გაჭყეტილი,
დაჩვენბილი ნაჭყანბით



ბურ არც ბაბუებს უვლიათ,
არც კუჭკუძებმა იარეს,
სუფთააწყინის რვეული
დათხუბნბილი კი არის.

ჭახნა მწერბიჭვი გაჭმარაჭვილი,
ჭახნა მწყლბდრი ფერხუბლით
აქა-იქა ვაჭუანბტული
მართლა ბატონუბსური!

* * *

რვეული რღმ შეაბკლა
ხანაჭებო მხატვრობბით,
ნეტაჭ-ფეხბინ რა იქნა
ამ რვეულის პატრონბი?!

ნახაბი მ. მხალაშია



სათამაშოები

მედი ბოლქვაძე

ნახატები მ. კოინივილიძის

გამოსაფხვლად თუ არა, ნანამ ფეხი აიღება; დილით რომ გავა, თუ არ მიაკითხეს, საღამომდე სასლი არ მოაკონდება.

— რა ვქნა, ხომ არ დავაბამ ამ გოგონს?—სწუსდა ბებო.

ბებოსე არა ნაკლებ გავაფრებულეები დელოფალები არიან, მთელი დღეებით მიტოვებული ბუზღუნებზე:

— როგორ, სულაც აღარ ვაგონდებით?!—ტირის მტირალა დელოფადა.

— ტვისაკენ მაინც გავკვასეირნებდეს!—ნატრობს წითელქუდა.

— ცხვირი მაინც მოეხანა ჩემთვის!—ოხრავს ბურატინო.

— რისთვის ჩაუფი ცხვირი შელანში!—ნიშნს უგებს დათუნა.

— წავიდა და წავიდა... ეს ჭეჭეია ნი ტანსაცმელი მაინც დაერყვსა, რასა ვგავართ!—ოხრავს ახლა უველანი ერთად.

სათამაშო ჭურჭელიც დასარეცხი ურია; ქვაბში ზირღანირ აშმორდა მიწით და ბაღასის დერებით დამსადებული „წვევნი“. ნანა კი მთელი დღე დასეირნობს; დარბის, ხან ალმა ვეცმა, ხან დაღმა, მარტო თავის დიდ ბურთს დაარბენინებს.

— ოჰ, შე გაბერელო, შენა, მარტო შენა ნანა?—საღამოს ბურთს ეხსუბებიან სათამაშოები.

— აბა, როგორ?—იცინის მხიარულად ბურთი. — სამთარში შე ვიყავი მო-



წეწილი, სადღაც საწოლის ქვეშ მიკლებული, ახლა თქვენ იჯექით ასე.


— ეჰ, შე თავკასივებულო, შენა, ჩაკვრავ ცხვირს და ჩაფუკავ!—ემუქრება კრძელცხვირა ბურატინო ბურთს.

— თუ დამეწვევი?!—იცინის ისევ ბურთი წითელი ზირით და სხვადასხვა ფერის ორი ლოყით.




886

ი
უ
ე
მ
ო
რ
ი



— მერაბ, აი, ნამცხვარი, მხოლოდ მართო შენ არ შეტამო, სანდროს გაუყავი ძმურად.
 — რას ნიშნავს ძმურად გაუყოფა? — დაინტერესდა მერაბი.
 — შენთვის ცოტა დაიტოვე და სანდროს კი უფრო მეტი უწილადე.
 — მაშინ უმჯობესია სანდროს მიეცით ნამცხვარი და იმან გამიყოს ძმურად.



— დედა, მოდი რა, დღეს სტუმრები დავპატივოთ! — სთხოვა დედას დათომ.
 — რატომ? — გაუკვირდა დედას.
 — მურაბა მინდა ძალიან და იმითომ.

— მე პირველ კლასში მივდივარ! — თქვა ნოდარმა.
 — მე მეორე კლასში მივდივარ! — თქვა გიგამი.
 — მე მესამე კლასში მივდივარ! — თქვა ზაზამი.
 — მე, მე სად წავიდე? — იკითხა პატარა გიამ და ატირდა.
 — ამ დროს გიამ დედას დაუძახა. გიამ ტირილს თავი დაანება და თქვა: — მე დედასთან მივწვივარ!
 გადმოქართულებული ჟურნალი „მურზილადანი“



ნახატები ულ. აგბოკაძისა

ბოსვანი

ხან ბაღაში დავფუსფუსებ,
ხან დავრბივარ მთა-ველად.
უფრო ხშირად ბოსტანს ვუვლი,
ბოსტანს ცილა-მტკაველას.

აი, ქინძი, ოხრახუში,
ხახვი, პიტნა, სტაფილო...
ზოგი ჯერაც ჯეჯილსა ჰგავს,
ზოგიც უკვე ყვავილობს.

მწვანე კამას რომ დაჰყურებს,
ზაფრანაა მზისფერი.
ჭრიჭინები ბაღა-ბოსტანს
აყრუებენ სიმღერით.

ბოსტანი მაქვს სანაქებო,
სურნელებით დაგათირობთ.
ბაღაში კი თავს იწონებს
კიტრი, ნესვი, საზამთრო.

აააი ბუნაბა



გია და მამალი

— ყვიციყო, მამალო,
სადმე უნდა დაგმადლო.
ყოველდღე რომ გაჰყვირი,
ხომ არა ხარ საყვირი?

— ჩემი შემომახილით
დედამიწა ბარბაცებს,
დიდილობით ვაღვიძებ
შენისთანა ბარბაცებს!



ბუკაბა კლასიკური

მსუნაგი

დათუნია მსუნაგი
სკას ეწვია მაღულად,
ტუბიღე ტუბილი თაფლითა
პირი ჩაიტუბარუნა.

უცებ ღრიად-ღრიადით
ყველაფერი დაცეხვა,
ერთმა ციკქნა ფუტკარმა
„განდაგანა“ აცეკვა...

კ. გომიანი

ნახატები მ. ხაბაძისა

ჯიუჯი დათუნა

- უპ, რამდენია, ქირიმე, მომეცი ჩემო მაშიკო...
- ჯერ შინ მივიდეთ, პატარებს ყველას თანაბრად გაგიყოფთ.
- პა, გეხვეწებო... ვაიმე... მიტაცებს, ცაში აფორინდი.
- გეუბნებოდი, შე ურჩო, ქარიანია ამინდი.
- ნუ გეშინია გახეთქე, ბუშტებს ჩაასვი ბრქუალები.
- ბუშტები სკდება, მაშიკო, რა სწრაფად მოვექანები.
- უპ, რა კარგია, გენაცვა, ვირწევი როგორც აკვანი.
- შენჯე ახია, ჯიუჯო, რომ მოადინე ბრაგვანი!




ნახატები ზ. შორჩხიძისა

ქანქიქიქი ბუზჩინი



ტოტო ხატავს


- მამა — რას ხატავ, ტოტო?
 - ტოტო — ცხენს, მამა.
 - მამა — მერე კული რომ არა აქვს!
 - ტოტო — მოიცადე, მამა, კული ჯერ
სამელნეშია.
- ფრანგულიდან თარგმნა
ოულია ჩხიკვაძემ



მისწავლებელი: — ჯონ, ვთქვათ შენ
გაქვს ექვსი ვაშლი
და მე სამი გთხოვე,
შენ რამდენი დარჩე-
რება?

ჯონი: — ისევ ექვსი!
ინგლისურიდან თარგმნა
ფიქრია შერაზადიშვილმა






პატამ შეღამებისას ეზო-ში თაისი საყვარელი მამალი რომ ვერ დანახა, დეღას ჰკითხა:

- დედა, სად არის ჩემი მამალი?
- პატარა კახას ვაჩუქე, შეილო, ქალაქში წაიყენა.
- მაშ ხეღ დედი, როგორ გათენდებამ?!

არსან ნიქაუარი



ბუნება

ცეცქიდან მ.
ღანდისაძე ვეც. აბინან
ვაქანაყაძე დან. იქანდაძე



მაღლა მერსო ჰობით
ქობის ჩიტე გართულა,
ვარსკლავებით ანათებს
შენს ოთახში ნ...



ღობილია ბუღბუღისა,
მომდერალი არის მზისა.
ელ. სპირიტული

მონარქზე გავუქამ,
მეგრამ წყლის არ მუხებნი,
ერთ ნაპირზე თავი მავს,
მეორეზე ვუხებნი.

მ. შაბუაძე

რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი, ხარედაქციო კოლეგია: მ. მამებქორი, კ. მკვირავილი, ჯ. ლოღუა, მავვალა მრამღივილი (რედაქტორის მოადგილე), ჯ. ნინუა, შ. ცხაღამე (ხმხატვრო რედაქტორი) რ. შვირვილი.

საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის წორჩ პოინერთა ორგანიზაციის რეგისტრაციური საბჭოს ურნაღი

ვღის მხატვრობა ევეთენის ვ. მელიქიშვილს

ტაქრედაქტორი მ. რიღორვილი

გამოცემის ოცდამეჩედმეტე წელი. რედაქციაში შემოსული მასაღები ავტორებს არ დუბურნდებთ.

გამოცემლობა „ინტადული“, გამოც. შვე. № 99, სტამბის შვე. № 863, ტრაფიკში, ხელმოწერილია დასაბეღად 6/V-1964 წ. ურნაღი დაბეღილია პოღაგარეულ კომიტეტისა, ლენინის ქ. № 16 „მღია“ ნა გუღიკოვ ლიბო. ტბინიშ. პროფ. ნავიგოვა № 91.

ჩეღაკეის მისამართი: თბიღისი. მღუხანოვს პრისი. № 91. ტღ. 5-37-35.

ვანე 20 აბბ.


76055

ბ 19/167

ეროვნული
მემორიალი

ეს ნახატები თბილისის მაულის
კომბინატის მე-ნ საბავშვო ბაღის
ექვსი წლის აღსაზრდელებმა გამო-
ვეიგზავენეს.

- „ც ხ ე ნ ე ბ ი“ — ნახატი თემურ კველიშვილისა.
- „ფ უ ნ ი კ უ ლ ო რ ი“ — ნახატი მიხეილ ჩიხლაძისა.
- „ს ო ფ ე ლ შ ი“ — ნახატი ალექსანდრე კულუბაშვილისა.



„პ ა პ ა“ — ნახატი მანანა იმერლიშვილისა. (გურჯაანი)

„ხ ე“ — ნახატი შურა ზანგირაშვილისა. (თელავი)

